

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო
სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“

სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დამტკიცებულია ცვლილებებით აკადემიური საბჭოს ოქმი #11, 27/11/2020.

დამტკიცებული რექტორის ბრძანებით #ბ/1- 01/34, 01/12/2020.

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სტრატეგიული კომუნიკაციები
Strategic Communications
საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი

მართვისა და კომუნიკაციის სკოლა	
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სტრატეგიული კომუნიკაციები / Strategic Communications
დეტალური სფერო	0414 მარკეტინგი და რეკლამა /Marketing and advertising 0414.2.1 საზოგადოებასთან ურთიერთობა/Public Relations
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საზოგადოებასთან ურთიერთობების მაგისტრი Master in Public Relations
კვალიფიკაციის კოდი	0414. საზოგადოებასთან ურთიერთობა
აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა, აკადემიური უმაღლესი განათლების II საფეხური
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	120 ECTS
პროგრამის სტრუქტურა:	პროგრამით გათვალისწინებული 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 100 კრედიტი - ძირითადი კომპონენტი, (15 პროფესიული პრაქტიკა, 30 ჩოშ - სამაგისტრო ნაშრომი) 20 კრედიტი - თავისუფალი, (მათ შორის, 10 ჩოშ სავალდებულო სასწავლო კურსები)
პროგრამის ხელმძღვანელები	მაკო ჯაოშვილი - PH D., ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, აფილირებული პროფესორი, ნათია გოცაძე - PH.D., საჯარო მართველობის დოქტორი, აფილირებული პროფესორი
სწავლების ენა	ქართული
დაშვების წინაპირობა (მოთხოვნები)	

ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ნებისმიერი სპეციალობით; საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება ან საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

გასაუბრება მიმღებ კომისიასთან, რომლის შედეგად ფასდება აპლიკანტის ცოდნა საზოგადოებასთან ურთიერთობის შესავალი საკითხების გარშემო და მისი სწავლის მოტივაცია აღნიშნულ პროგრამაზე; ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება ტესტირებით, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 100 ქულიდან 51 ქულას, ან B2 დონის დამადასტურებელი საერთაშორისო ვალიდური სერტიფიკატის წარდგენა; მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით; მობილობით.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მაგისტრანტმა:

- საფუძვლიანად შეისწავლოს რეპუტაციული მენეჯმენტის, ინტერპერსონალური კომუნიკაციის, მოლაპარაკების სტრატეგიების და ბრენდის მართვის თანამედროვე მიდგომები;
- გაიღრმავოს ცოდნა ციფრული ტექნოლოგიების სტრატეგიული მართვის, სოც.მედია და ანტიკრიზისული კამპანიების დაგეგმვისა და ვიზუალური „ამზის თხრობის“ უახლესი ტრენდების შესახებ;
- დამოუკიდებლად მართოს ღონისძიებები და კვლევითი სამუშაოები, კრიტიკულად გაანალიზოს და შეაფასოს სტრატეგიული კომუნიკაციების პრაქტიკული შედეგები;
- მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება სხვა და სხვა მიზნობრივი აუდიტორიისთვის სტრატეგიების და სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და ორგანიზაციისთვის ორმხრივი კომუნიკაციით მიღებული სარგებლის ობიექტურ დასაბუთებაში.

სწავლის შედეგები და კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება:

კურსდამთავრებულმა იცის:

- ინტერპერსონალური კომუნიკაციის უმთავრესი ფსიქოლოგიური ასპექტების როლი სტრატეგიულ მართვაში;
- საზოგადოებრივი აზრის გავლენის მნიშვნელობა რეპუტაციულ გადაწყვეტილებებსა და ნდობის შენარჩუნებაზე;
- ორგანიზაციის სტრატეგიული დაგეგმვისას სოციალური მედია მარკეტინგის და ანტიკრიზისული კამპანიის როლი;

უნარი:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისას კრიტიკული მოსაზრებების შეფასება, კრიზისულ ვითარებაში დროული რეაგირება და შესაბამისი სოც.მედია აქტივობების დაგეგმვა;

- მოლაპარაკების შედეგებზე მოქმედ ფაქტორთა სიტუაციური აღქმა და საერთო ინტერესებზე მორგებული ტაქტიკის შემუშავება დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის გასაღრმავებლად;
- ცვალებად გარემოში ინფორმაციის ობიექტური გაანალიზება, კონკრეტული გზავნილისთვის სტრატეგიული არხების შერჩევა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება;
- საკომუნიკაციო კამპანიის დაგეგმვა-რეალიზება, შედეგების შეფასებითი ანალიზი და არგუმენტირებული დასკვნების გაკეთება;

ავტონომიურობა და პასუხიმგებლობა:

კურსდამთავრებულს შეუძლია პროფესიული ეთიკის და ციტირების წესების დაცვით შემუშავებული სტრატეგიის / საჯარო ინფორმაციის გავრცელების კორექტულად, მიუკერძოებლად დასაბუთება.

დასაქმების სფერო:

სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს დასაქმდეს როგორც საჯარო თუ არასამთავრობო ორგანიზაციაში, ასევე კერძო სექტორში, სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელისა თუ მრჩეველის თანამდებობაზე, და/ან სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სწავლის გაგრძელების საშუალება:

კურსდამთავრებულს საშუალება აქვს სწავლა გააგრძელოს დოქტორნატურაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები:

პროგრამით გათვალისწინებული თითოეული კურსის სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სწავლა-სწავლების სხვა და სხვა ფორმა: ლექცია-სემინარი, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, დამოუკიდებელი მუშაობა, ელექტრონული რესურსებით სწავლება. სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები დეტალურად გაწერილია სასწავლო კურსების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში.

სწავლა-სწავლების მეთოდები:

კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ლექტორი იყენებს სწავლების თანამედროვე მიდგომებს, მათ შორის: წყვილებში მუშაობა ქოუჩინგის პრინციპით - ორიენტირებულია ცნობიერების განვითარებასა და საჭირო ჩვევების ფორმირებაზე, მოიცავს კონკრეტული საკითხის გარშემო კითხვა-პასუხის რეჟიმში განხილვას, როცა სტუდენტები პრაქტიკულად გაივარჯიშებენ კითხვების დასმით დასკვნების გამოტანას, მოსმენის უნარს და საკუთარი აზრის ლოგიკურ ჩამოყალიბებას.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება - ამ მეთოდით პრობლემა შეისწავლება ახალი ცოდნის მისაღებად, გამოსავლის ძიება პროცესთან ინტეგრირებულად ხორციელდება. წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა - დამატებითი მასალის მოძიება და სიღრმისეული დამუშავება, საინტერესო ჩანაწერების გაკეთება, წერითი მუშაობის მეთოდი - რამდენიმე აქტივობის შერწყმა მიღებული ინფორმაციის დაკონსპექტებით, თეზისების შედგენით, რეფერატის ან ესსეს შესრულებას, პროექტზე მუშაობის მეთოდი - სტუდენტს უყალიბებს პრაქტიკულ ჩვევებს და

საშუალებას აძლევს განავითაროს სტრატეგიული დაგეგმვის უნარი, გუნდური მუშაობა დისკუსია / დებატებში მონაწილეობა - კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარზე ორიენტირებული მეთოდი, რომლითაც ასევე ვლინდება ემოციების მართვის უნარი; შემთხვევის ანალიზი - კონკრეტული შემთხვევების განხილვა საკითხის დეტალური შესწავლის მიზნით, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებით კონკრეტული საკითხის საფუძვლიანი შესწავლა; გამოცდილებითი სწავლება - აუდიტორიის მიღმა სხვა და სხვა აქტივობებში ჩართვით პრაქტიკული უნარ-ჩვევების შექმნა, დაკვირვებისა და უშუალო გაკეთების პროცესების მეშვეობით; გონებრივი იერიში - კონკრეტული საკითხის გარშემო მაქსიმალურად მეტი, რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებების ჩამოყალიბება, კრიტიკული, ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებების მოსმენა, იდეების გაცხრილვა, კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დადგენა და შერჩეული ტერმინების/შეხედულებების შეფასება წინასწარ ჩამოყალიბებული კრიტერიუმებით; დემონსტრირების მეთოდი - ინფორმაციის ვიზუალურად წარდგენა, რომლის დროსაც ადვილად ხდება სასწავლო მასალის აღქმა, საკითხის/პრობლემის არსის წარმოჩენა და მის გარშემო მსჯელობა აუდიო და ვიზუალური საშუალებების გამოყენებით; ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი - ზოგადიდან კონკრეტულსკენ და პირიქით, კონკრეტულ საკითხის გარშემო მსჯელობის განზოგადება. ერთი მთლიანის დაშლა შემადგენელ ელემენტებად და გაანალიზების შემდგომი გაერთიანება დასკვნის სახით ჩამოსაყალიბებლად; ახსნა-განმარტებითი მეთოდი - მსჯელობა მოცემული საკითხის გარშემო კონკრეტული მაგალითის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლით დაკვირვებისა და ანალიზის უნარების გაუმჯობესება; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება - მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია, რაც ხელს უწყობს შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების უნარის განვითარებას; სწავლა კეთებით, რაც გულისხმობს პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლებას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

შეფასების პრინციპები:

გამჭვირვალობა - შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა პირისათვის. სტუდენტს ყოველი აკადემიური სემესტრის დაწყებისთანავე ეცნობება, თუ როდის და რა კრიტერიუმებით შეფასდება მისი ცოდნა;

სისტემატური ხასიათი – შეფასება არ წარმოადგენს ცალკეულ ქმედებას. ეს არის პროცესი, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტის მუდმივ მზაობას გამოავლინოს მისი ცოდნა და უნარები, ხოლო ლექტორს ეხმარება დააკვირდეს სტუდენტის მიერ ცოდნის მიღების და განვითარების პროცესს;

სამართლიანობა - სტუდენტის სწავლების ობიექტური და კეთილსინდისიერი შეფასების სტანდარტული მიდგომა.

შეფასების ფორმატი და მეთოდოლოგია:

შეფასების სისტემა (შეფასების ფორმატი, მეთოდოლოგია და თითოეული კომპონენტისათვის მინიჭებული ქულა) გაწერილია შესაბამის სილაბუსში და სტუდენტებს ეცნობებათ სემესტრის დასაწყისში. შუალედური და დასკვნითი შეფასების თითოეული კომპონენტი ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას.

შუალედური, დასკვნითი და აღდგენითი (საპატიო) გამოცდები ჩატარდება წერილობითი, ზეპირი ან შერეული ფორმატით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას. (გარდა სამაგისტრო ნაშრომისა, ვინაიდან ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი შეფასებით).

შეფასების სისტემა მოიცავს:

- ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

- ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.

(FX) უარყოფით შეფასების მიღების შემთხვევაში სკოლა ნიშნავს დამატებით გამოცდას შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის სტუდენტის საბოლოო შეფასება, რომელშიც არ მოიაზრება ძირითად დასკვნით შეფასებაზე მიღებული უარყოფითი ქულა. თუ სტუდენტმა დამატებით გამოცდაზე მიიღო 0-დან 50 ქულამდე, საბოლოო საგამოცდო უწყისში სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) -0 ქულა.

ეს პუნქტი არ ვრცელდება სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას, ვინაიდან სამაგისტრო ნაშრომის (FX) - ვერ ჩააბარა შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო (F) - ჩაიჭრა შეფასების მიღების შემთხვევაში - მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

აღდგენითი (ე.წ. საპატიო) გამოცდა

თუ სტუდენტი საპატიო მიზეზით ვერ დაესწრება გამოცდას (შუალედურს ან დასკვნითს), მას უფლება აქვს ისარგებლოს აღდგენით გამოცდაზე გასვლის უფლებით, სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ კალენდარში მითითებული პერიოდის განმავლობაში. სტუდენტმა უნდა დაასაბუთოს გამოცდის გაცდენის მიზეზი შესაბამისი დოკუმენტების წარდგენით შუალედური გამოცდის ჩატარებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში და დასკვნითი გამოცდის ჩატარებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. საპატიო მიზეზით აღდგენილ გამოცდაზე მიღებული ქულა ჩაითვლება შუალედური/დასკვნითი გამოცდის ქულად. აღდგენითი გამოცდების გაცდენისას სტუდენტი ვეღარ ისარგებლებს გამოცდაზე გასვლის უფლებით.

შეფასების ფორმატი:

- შუალედური გამოცდა;
- აქტიურობა სემინარებზე / ჯგუფური მუშაობისას;
- პრეზენტაცია;
- საშინაო დავალება;
- პრაქტიკული სამუშაოს შესრულება;
- მომზადებული მასალის წარდგენა;
- რეფერატი;
- ნაშრომის პრეზენტაცია და დაცვა;
- დასკვნითი გამოცდა (წერთი, ზეპირი ან შერეული ფორმით).

სწავლების ორგანიზების თავისებურებები

სამაგისტრო საფეხურზე სტრატეგიული კომუნიკაციების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული 120 კრედიტი გადანაწილებულია 2 აკადემიურ წელზე, 4 სემესტრის განმავლობაში. ყოველ სემესტრში სტუდენტი საშუალოდ აგროვებს 30 კრედიტს.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მაგისტრანტის სტატუსის მოსაპოვებლად კანდიდატი აბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ შიდასაუნივერსიტეტო გამოცდას ინგლისური ენის ტესტს B2 დონეზე და გადის გასაუბრებას საზოგადოებასთან ურთიერთობის შესავალი საკითხების გარშემო. ის კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს (TOEFL IBT, IELTS, CAE), თავისუფლდება ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან.

მე-3 სემესტრში სტუდენტი გადის პრაქტიკას იმ ორგანიზაციებში, რომლებთანაც სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. მეოთხე სემესტრში მაგისტრანტი ასრულებს სამაგისტრო ნაშრომს.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი რესურსები:

<p>ადამიანური რესურსი</p>	<p>სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფენ დარგის პროფესიონალები, მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილებისა და კომპეტენციის მქონე მოწვეული ლექტორები.</p>
<p>მატერიალური რესურსი</p>	<p>აღნიშნული პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის დასახული სწავლის შედეგების მიღწევა სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო სტანდარტებზე მორგებული ინფრასტრუქტურითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით: სასწავლო უნივერსიტეტში, მის აუდიტორიებსა და საბიბლიოთეკო სივრცეში შექმნილი გარემო ითვალისწინებს სტუდენტთა ინტერესებს. საგანმანათლებლო სივრცე: სასწავლო აუდიტორიები, საკონფერენციო და სამკითხველო დარბაზები აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და სასწავლო კურსების შესაფერისი თვალსაჩინოებით; ბიბლიოთეკა აღჭურვილია უახლესი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებითა და კომპიუტერით; ფუნქციონირებს სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონული სისტემა ინტრანეტში ჩართული კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით; სწავლება / სწავლის პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი კომპიუტერული პროგრამებით; სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია სხვა საჭირო ტექნიკური მოწყობილობა და თვალსაჩინოება.</p>

<p>საბიბლიოთეკო რესურსი</p>	<p>სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამისთვის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მომარაგებულია სილაბუსებში გაწერილი ძირითადი სახელმძღვანელოებით, სამეცნიერო ლიტერატურით, დამხმარე მეთოდოლოგიით, დაცულია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზა, ელექტრონული სახელმძღვანელოები;</p> <p>სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს, მოწვეულ თუ აკადემიურ პერსონალს შეუძლიათ ინტერნეტით და საზოგადოებრივი ელექტრონული რესურსით სარგებლობა:</p> <p>Cambridge Journals Online (https://www.cambridge.org/core) e-Duke Journals Scholarly Collection (https://read.dukeupress.edu/) Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (https://www.elgaronline.com/) IMechE Journals (https://uk.sagepub.com/en-gb/eur/IMEchE) Openedition Journals (https://www.openedition.org/) Royal Society Journals Collection (https://royalsociety.org/journals/) SAGE Journals (https://journals.sagepub.com) SAGE APCs for Open Access Journals (https://uk.sagepub.com/en-gb/eur/pure-gold-open-access-journals-at-sage) http://www.nplg.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1 http://dspace.nplg.gov.ge/ http://www.library.court.ge/login.php?geo&authorisation http://lawlibrary.info/ge/</p>
<p>აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე</p>	<p>სამუშაო გარემო აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით, ასლგადამდები მულტიფუნქციური აპარატით, საჭირო ინვენტარით (მაგიდა, სკამები, კარადები...)</p>
<p>შენობა-ნაგებობა</p>	<p>პროგრამა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ თანამედროვე დიზაინით აგებულ შენობაში, რომელსაც გააჩნია ხანძარსაწინააღმდეგო, გათბობა-კონდიციონერებისა და ვენტილაციის სისტემა, ელექტრო და წყალგაყვანილობა. შენობაში დაცულია უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. შენობა-ნაგებობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს.</p>
<p>საინფორმაციო-ტექნოლოგიური კომუნიკაციის საშუალებები</p>	<p>სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამას გააჩნია სათანადო პროგრამული უზრუნველყოფა, კომპიუტერული ტექნიკა ჩართულია უწყვეტი სარგებლობის ინტერნეტქსელში, და ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური, მოწვეული თუ ადმინისტრაციული პერსონალისთვის.</p>

	სტუდენტთა დასწრების, აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცედურების გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტში გამართულად მუშაობს ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელ-სისტემა, ვებ-გვერდზე განთავსებული პროგრამების კატალოგი მოიცავს ამომწურავ ინფორმაციას სასწავლო პროცესებისა და საგანმანათლებლო მიმართულებების შესახებ.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მიღებული შემოსავლების, ინვესტიციებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და ნებადართული სხვა სახსრების გამოყენებით. პროგრამის სარეალიზაციოდ მოზიდული ზემოაღნიშნული ფინანსები გამოიყენება პროგრამის განვითარებისა და მდგრადობისათვის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სახელფასო უზრუნველყოფის, პროფესიული განვითარების, კვლევის, სტუდენტთა წახალისებისა და მოტივაციისთვის, საბიბლიოთეკო ფონდის განახლებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისთვის.
პროგრამის ანალოგი	წინამდებარე პროგრამის ზუსტი ანალოგი არ არსებობს, თუმცა საქართველოს საგანმანათლებლო ბაზარზე არსებობს რამდენიმე მსგავსი სამაგისტრო პროგრამა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, კავკასიის უნივერსიტეტში, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტსა და საქართველოს უნივერსიტეტში. (იხ. პროგრამის ბენჩმარკინგი), ანალოგიური პროგრამები ასევე ისწავლება უცხოეთში, თუმცა იქ შემცირებული რაოდენობითაა შესაბამისი სასწავლო კურსები.

სასწავლო გეგმა

#	სასწავლო კურსი / პრაქტიკული კომპონენტი / მოდული	კოდი	ECTS კრედიტების რაოდენობა	კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით				საათების განაწილება							საათების რაოდენობა კვირაში			მიღების წინაპირობა		
				I სასწავლო წელი		II სასწავლო წელი		საკონტაქტო							დამოუკიდებელი მუშაობა	ჯამური საათები	ლექცია		ჯგუფური მუშაობა/ჯგუფური მუშაობა/შუალედური გამოცდა	სულ
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	ლექცია	ჯგუფური მუშაობა/პრაქტიკული სამუშაო	შუალედური გამოცდა(ა/ები)	დასკვნითი გამოცდა	სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა	სულ საკონტაქტო							
სტატუსი: ძირითადი სასწავლო კურსები - 55 კრედიტი																				
1	რეკუტაციული მენეჯმენტი	PRM01	6			*		30	28	2	2			62	88	150	2	2	4	PRM02
2	სტრატეგიული მართვა	PRM02	6		*			32	26	2	2			62	88	150	2	2	4	PRM03
3	მოლაპარაკების სტრატეგიები	PRM03	6	*				27	31	2	2			62	88	150	2	2	4	წინაპირობის გარეშე
4	ციფრული ტექნოლოგიების სტრატეგიული მართვა	PRM22	5		*			17	26	2	2			47	78	125	1	2	3	PRM07

5	<ul style="list-style-type: none"> ინტერპერსონალური კომუნიკაციის მენეჯმენტი 	PRM06	5	*				17	26	2	2		47	78	125	1	2	3	წინაპირობის გარეშე
6	ბრენდის მართვა	PRM07	4	*				19	24	2	2		47	53	100	1	2	3	წინაპირობის გარეშე
7	ვიზუალის სტრატეგია PR-ში	PRM08	5	*				25	18	2	2		47	78	125	2	1	3	წინაპირობის გარეშე
8	ღონისძიებათა მართვა	PRM09	4		*			16	27	2	2		47	53	100	1	2	3	PRM07
9	სტრატეგიული კომუნიკაცია - Strategic communication	PRM010	5		*			17	26	2	2		47	78	125	1	2	3	წინაპირობის გარეშე
10	მარკეტინგი და სამართალი	PRM011	5			*		31	12	2	2		47	78	125	2	1	3	PRM07
11	სოციალური მედია და ანტიკრიზისული კამპანიები	PRM012	4			*		16	27	2	2		47	53	100	1	2	3	PRM22
სტატუსი: თავისუფალი, სავალდებულო სასწავლო კურსები - 10 კრედიტი																			
12	აკადემიური წერა PR პრაქტიკაში	PRM04	5					17	26	2	2		47	78	125	1	2	3	წინაპირობის გარეშე
13	ორგანიზაციის მართვის ტექნოლოგიები	PRM013	5					17	26	2	2		47	78	125	1	2	3	წინაპირობის გარეშე
სტატუსი: თავისუფალი კომპონენტი -10 კრედიტი																			

14	სტატისტიკური კვლევები	PRM05	5					27	16	2	2			47	78	125	2	1	3	წინაპირობის გარეშე
15	ცოდნის მენეჯმენტი	PRM014	5					16	27	2	2			47	78	125	1	2	3	წინაპირობის გარეშე
16	თანამედროვე მენეჯმენტი	PRM015	5					30	13	2	2			47	78	125	2	1	3	წინაპირობის გარეშე
17	საერთაშორისო მარკეტინგი	PRM016	5					28	15	2	2			47	78	125	2	1	3	PRM07
18	მედია კომუნიკაცია	PRM017	5					16	27	2	2			47	78	125	1	2	3	წინაპირობის გარეშე
19	პროექტის მართვა	PRM018	5					17	26	2	2			47	78	125	1	2	3	PRM02
20	ევროინტეგრაციის საკითხები	PRM019	5					17	26	2	2			47	78	125	1	2	3	წინაპირობის გარეშე
პროფესიული პრაქტიკა - 15 კრედიტი																				
21	პროფესიული პრაქტიკა	PRM020	15											90	2	1				გეგმის მიხედვით ყველა სასწავლო კურსი

კვლევიტი კომპონენტი -30 კრედიტი																		
22	სამაგისტრო ნაშრომი	PRM021	30				*				5	15 0	155	595	750			1-3 სემესტრების ძირითადი კურსები და პრაქტიკა

სწავლის შედეგების რუკა

N	ECTS	სასწავლო კურსი	ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა
1	2	3	4	5	6
ძირითადი სასწავლო კურსები					
1	6	რეპუტაციული მენეჯმენტი	X	X	X
2	6	მოლაპარაკების სტრატეგიები	X	X	
3	6	სტრატეგიული მართვა	X	X	
4	5	ინტერპერსონალური კომუნიკაციის მენეჯმენტი	X	X	X
5	5	ციფრული ტექნოლოგიების სტრატეგიული მართვა	X	X	X
6	4	ბრენდის მართვა	X	X	
7	4	სოციალური მედია და ანტიკრიზისული კამპანიები	X	X	X
8	4	ლონისძიებათა მართვა	X	X	

9	5	სტრატეგიული კომუნიკაციები / Strategic communications	X	X	
10	5	ვიზუალის სტრატეგია PR-ში	X	X	
11	5	მარკეტინგი და სამართალი	X	X	
თავისუფალი, სავალდებულო სასწავლო კურსები					
12	5	აკადემიური წერა PR პრაქტიკაში	X	X	X
13	5	ორგანიზაციის მართვის ტექნოლოგიები	X	X	
თავისუფალი კომპონენტი					
14	5	სტატისტიკური კვლევები	X	X	
15	5	ცოდნის მენეჯმენტი	X	X	
16	5	თანამედროვე მენეჯმენტი	X	X	
17	5	მედია კომუნიკაცია	X	X	
18	5	საერთაშორისო მარკეტინგი	X	X	
19	5	პროექტის მართვა	X	X	
20	5	ევროინტეგრაციის საკითხები	X	X	
პრაქტიკის კომპონენტი					
21	15	პროფესიული პრაქტიკა		X	X

კვლევითი კომპონენტი					
22	30	სამაგისტრო ნაშრომი	X	X	X

სასწავლო გეგმის დამატებითი ცხრილი

	სასწავლო კურსის დასახელება	პროგრამის განმახორციელებელი პირი/ლექტორი დაკავებული თანამდებობა აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი
1	ინტერპერსონალური კომუნიკაციის მენეჯმენტი	ნათია გოცაძე, ასოცირებული პროფესორი, PHD
2	მოლაპარაკების სტრატეგიები	მაკო ჯაოშვილი, ასოცირებული პროფესორი, PHD
3	რეპუტაციული მენეჯმენტი	ბერდია ნაცვლიშვილი, მოწვეული ლექტორი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი
4	ვიზუალის სტრატეგია PR-ში	ალექსანდრე გაბუნია, ასოცირებული პროფესორი, თეოლოგიის მაგისტრი (ვიზუალური თეოლოგია)
5	ბრენდის მართვა	ალექს ჩიქოვანი, ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი, მოწვეული ლექტორი
6	ციფრული ტექნოლოგიების სტრატეგიული მართვა	გიორგი კენჭუაშვილი, მოწვეული ლექტორი
7	სოციალური მედია და ანტიკრიზისული კამპანიები	დავით ჩქოტუა, მოწვეული ლექტორი
8	ლონისძიებათა მართვა	თამარ ზაქარიაძე, ასოცირებული პროფესორი, გერმანული ენის და ლიტერატურის სპეციალისტი, მაგისტრთან გათანაბრებული
9	პროფესიული პრაქტიკა	მაკო ჯაოშვილი, ასოცირებული პროფესორი, Ph.D.
10	სტრატეგიული მართვა	ირაკლი ხვთისიაშვილი, მოწვეული ლექტორი, სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი
11	მარკეტინგი და სამართალი	სერგი ჯორბენაძე, მოწვეული ლექტორი, სამართლის დოქტორი

12	აკადემიური წერა PR პრაქტიკაში	ნინო ხიდიშელი, ასისტენტ-პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი
13	ორგანიზაციის მართვის ტექნოლოგიები	დავითი ლელაძე, ასოცირებული პროფესორი, საჯარო მმართველობის დოქტორი
14	სტატისტიკური კვლევები	გიორგი ბალათურია, მოწვეული ლექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი
15	საერთაშორისო მარკეტინგი	ნინო ენუქიძე, მოწვეული ლექტორი, ბიზნესის მაგისტრი
16	Strategic communications / სტრატ. კომუნიკაციები	ლელა აბდუშელიშვილი, მოწვეული ლექტორი, განათლების დოქტორი
17	მედია კომუნიკაცია	ზვიად ქორიძე, მოწვეული ლექტორი, ჟურნალისტიკის მაგისტრი
18	ცოდნის მენეჯმენტი	ნათია ვაჩეიშვილი, ასოცირებული პროფესორი, განათლების დოქტორი
19	თანამედროვე მენეჯმენტი	ზაზა ქოიავა, ასოცირებული პროფესორი, ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი
20	პროექტის მართვა	თეონა დალაქიშვილი, მოწვეული ლექტორი, სოციალური მეცნიერებების მაგისტრი
21	ევროინტეგრაციის საკითხები	შოთა დოლონაძე, მოწვეული ლექტორი, ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი